ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 63 (19804) ᲥᲕᲘᲠᲐ, 15 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲐᲡᲐᲣᲧᲕᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ „ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲑ“, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ. რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი ინტერესით ეცნობიან ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებიც წარმოაჩენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უდიდეს გამოცდილებას, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას და სახალხო თვისებრივად ახალი და მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტის გზებს. მათ გულით აღიქვეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება დიდი ოქტომბრის მომავალი იუბილეს ღირსეული აღნიშნვნის შესახებ და ახალი, გაზრდილი ვალდებულებები აკისრეს საყვარელი სამშობლოს ასაყვავებლად. საქართველოს მშრომელები სულ უფრო მეტ ძალ-ღონეს ახმარენ ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნას, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებას სკკპ XXVII ყრილობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲣᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქარხანაში, ისევე როგორც ყველგან, ჩაღდება მზადება დიდი ოქტომბრის — თანამეგზავრევ ისტორიის უდიდესი პოლიტიკური მოვლენის 70 წლისთავისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ საბჭოთა ხალხისადმი უძველესი საწარმოს კოლექტივს რევოლუციური სიამაყისა და ოპტიმიზმის გრძნობა აღუძრა. ჩვენ ვდგავართ ღირსშესანიშნავი თარიღის პატივსაცემ შრომითს ვიხტეზე. ჩემთვის ეს მესამეცე ვიხტეა: მე ხომ ქარხანაში ოციანი წლებიდან ვმუშაობ და მთელი ცხოვრებით დაკავშირებული ვარ საწარმოსთან.

ოქტომბრის პირველი დღესასწაულის აღსანიშნავად კოლექტივთან ერთად 1927 წელს გამოვედი. ეს იყო დრო, როცა ჩემს გვერდით შრომობდნენ ისინი, ვინც რევოლუცია მოახდინა, ვინც თავისი შრომით ასხამდა ხორცს დიდი ოქტომბრის იდეებს.

ათი წლის შემდეგ ქვეყანაში სტახანოვური მოძრაობა გაიშალა. ამ მოძრაობაში მოპაჯრებული წარმატებებისათვის ლენინის ორდენით დამაჯილდოვეს. მახსოვს, ესეც ოქტომბრის დღესასწაულის წინ მოხდა: საკავშირო მამასახლისმა მიხეილ ივანეს ძე კალინინმა, რომელიც თავის დროზე ჩვენს ქარხანაში მუშაობდა, გადმომცა საპატიო სახელმწიფო ჯილდო, დაინტერესდა ჩვენი საქმეებით და გვისურვა შემდგომი წარმატებები. ასეთ რამეს ვერ დავიწყებ.

მერე კი ომი იყო — ჩვენ ფრონტისათვის ვმუშაობდით, შემდეგ ძნელი ომისშემდგომი პერიოდი დადგა.

ჩვენი ქარხანა გაიზარდა, გაძლიერდა. დასრულდა მისი რეკონსტრუქცია. ჩვენ ახლა ყველაზე თანამედროვე ელმავლებს ვარემონტებთ. გაუმჯობესდა მშრომელთა სოციალური პირობები. ხალხი კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობს, მშვიდობიანად მუშაობს, სანატორიუმებსა და პროფილაქტორიუმებში ისვენებს.... უმჯობესდება შრომის ანაზღაურება.

მაგრამ მიღწეულ არ ჯერდებით. როგორც მმართველობაშია ნათქვამი, ოქტომბრის იდეალები გვიხმობენ ვიშრომით საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, სამშობლოს აყვავებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის. და ჩვენც წმიდათაწმიდა მოვალეობად მიგვაჩნია ის, რომ ერთ მთლიანობად შევადღეგმოთ ჩვენი გონება, ნებისყოფა და ენერგია, რათა ეს უშრეტი ძალა მოვაზმაროთ ჩვენს წინაშე მდგომი აღმშენებლობის დიდი გეგმების შესასრულებას.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲘᲚᲣᲠᲘᲫᲔ,
თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშენაკეთებელი ქარხნის მბეჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი, პარტიის ვეტერანი, თბილისის საბჭოთა მოქალაქე.

ᲓᲠᲝᲘᲡ

ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

„ᲩᲕᲔᲜᲘ ეკონომიკა გადის ეფექტიანობის, მოწინავე ტექნოლოგიათა ათვისების, უმაღლესი კლასის პროდუქციის გამოშვების უნარის გამოცდას“, — ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი. ეს მთლიანად ეხება მეჩაიეობასაც — ჩვენი რესპუბლიკის სუბტროპიკული მიწათმოქმედების წამყვან დარგს.

გარდაქმნა, რომელმაც ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა, მეჩაიეობასაც შეეხო. ჩვენი კომბინატის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწონ ძირეულ გარდატეხას მუშაობაში, დაძლიონ ახალი მიჯნები დარგის განვითარებაში. და პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. ვგულისხმობ ახალ სტრუქტურულ მიმართულებას მეჩაიეობაში: დიდი აგროსამრეწველო ფირმირების — კომბინატების შექმნას.

რას წარმოადგენს ჩვენი კომბინატი? ჩემი აზრით, მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ ყველა შესაძლებლობა აქვს ჩაის წარმოების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების, მზა პროდუქციის გამოშვებისათვის.

მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. კომბინატის სტრუქტურა დღევანდელ მოთხოვნებს შეესაბამება. საჭირო იყო ხალხის დაინტერესება, მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება. და აქ ორმა ფაქტორმა გადაჭრა პრობლემა — შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ ფორმაზე გადასვლამ, როცა მუშაობა შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტით ფასდება, და ზრუნვამ ფირმის პრესტიჟისათვის — ჩვენთან ხომ წარმოების დასრულებული ციკლი შეიქმნა.

ახლა მიმდინარეობს ბუჩქების სხვლა, ნიადაგში შეგვაქვს სასუქი. ყველა სამუშაოს ჩინებულად ვასრულებთ, ვქმნით კომბინატის კოლექტივის მიერ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების რეალიზაციის პირობებს, რომლებიც ითვალისწინებენ წლიური გეგმის შესრულებას ოქტომბრის იუბილეს დღესასწაულობისათვის და მხოლოდ პირველხარისხოვანი პროდუქციის ჩაბარების სამშობლოსათვის.

ᲚᲣᲡᲘᲐ ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐ,
ჩხოროწყუს რაიონის ლენინის რუსთაველის სახელობის აგროსამრეწველო კომბინატის მეჩაიე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲨᲗᲐᲛᲐᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ

ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ისტორიაც ბევრი მაგალითი ახლოს ისეთი საზოგადოებრივი მოვლენებისა, რომლებიც მკვეთრად ცვლიდნენ ცხოვრებას. მაგრამ მათ შორის არ არის ისეთი, რომელსაც დიდი ოქტომბერივით მკვეთრად შეეცვალოს არა მარტო რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ადამიანების, არამედ მთელი მსოფლიოს ბედიც.

წელს საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს აღნიშნავს. ამიტომ ჩვენი საზოგადოებრიობა განსაკუთრებული კმაყოფილებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას საბჭოთა ხალხისადმი. ეს დოკუმენტი ხვალინდელი დღის შთამბეჭდავ პანორამას გადაგვიშლის — პანორამას რთული და წინააღმდეგობრივი სამყაროსი, რომელშიც უნდა ვიცხოვროთ და აქტიურად ვიშრომოთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქვეყნის ყველა მშრომელს კონკრეტულ ამოცანებს უსახავს. მიმართვა ამ ამოცანებს უსახავს მწერლებსაც, რომლებმაც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის მზადების დროს მთლიანად უნდა გამოიყენონ მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის უდიდესი აღმზრდელობითი შესაძლებლობები.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა ყოველთვის მიაბიჯებდა თავისი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ავანგარდში და მხატვრული სახეებით აღბეჭდავდა მის ისტორიას. იგი სამართლიანად ამაყობს იმით, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „დროშები, ჩქარა!“ დათარიღებულია 1917 წლით. სწორედ ამ წელს, როცა „ცოცხრიობას ახალი ეპოქის დაწყება ეუწყა, შეიქმნა არნახული მოვლენისადმი მიძღვნილი ჰიმნი, რევოლუციის გმირების სადიდებელი. გალაკტიონ ტაბიძეს პირველმა უმღერა ლენინურ პარტიას, ბოლშევიკთა მამაც გვარდიას.

პარტიის იდეალები ხალხის, საბჭოთა ლიტერატურის იდეალებია. ახლა მხატვრული სიტყვის ოსტატებს ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ თავიანთი შემოქმედებით შეუწყონ ხელი სოციალისტური საზოგადოების პროგრესის დაჩქარებას.

მიმართვის ყოველი დებულება გამსჭვალულია ზრუნვით ადამიანისათვის, ხვალინდელი დღისათვის. მიმართვის სტრიქონებმა, სადაც ნათქვამია, რომ ყოველი ერისა და ეროვნების, ყოველი რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა კავშირის ბედი ერთი ბედია, გულის სიღრმემდე აღელვა ქართველი მწერლები. განა ამ სტატიების სიმართლის ნათელი დასტური არ არის ის ფაქტი, რომ ძნელებიდან ჟამს ჩვენი რესპუბლიკის გვერდით არის მთელი კავშირი, ყველა საბჭოთა ადამიანი, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი გასაჭირი და დახმარების ხელი გამოგვიწოდეს. ჩვენ გულითად მადლობას ვუხდით საბჭოთა მწერლებს, რომლებმაც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში მილიონი მანეთი გადმორიცხეს.

საბჭოეთი სახელოვანი სამოცდაათი წლისთავის მიჯნაზე დგას. ქართველი მწერლები ჩაეხენენ მუშაობაში დიდი ოქტომბრის ღირსეული შეხვედრისათვის, ოქტომბრისა, რომლის იდეალები ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის შრომისა და შემოქმედების სტიმულს გვაძლევენ.

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.
(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ იბრძვის დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივი. აქ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. წლის დამდეგიდან გამოშვებულია 86 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი ზეგეგმითი პროდუქცია. შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ფრეზების საამქროს მოწინავე მხეხავმა მზია თოგოშვილმა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: მზია თოგოშვილი.

ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲐᲙᲔᲢᲘᲡ

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ დაეხმარონ პარტიას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნის რევოლუციურ პროცესში — საბჭოეთის ჟურნალისტთა მაღალი მოწოდება და პასუხსაგები მოვალეობაა. საბჭოთა პრესის მეწინავენი დღეს ისწრაფვიან ყოველმხრივ წარმოაჩინონ გარდაქმნის ცოცხალი გამოცდილება, მიაგნონ და ფართო პროპაგანდა გაუწიონ ახლის ულორტებს. დემოკრატიის, საჯაროობის განვითარების პირობებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აქტიურად უწყობენ ხელს ხალხთან პარტიის ფართო და გულახდილ ბეჭობას: დღეს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა მთავარი საზრუნაველია დაეხმარონ ადამიანებს დაჩქარების სტრატეგიის იდეების გაგებასა და ათვისებაში, დარაზმონ მასები, რათა გაჩაღდეს საყოველთაო სახალხო ბრძოლა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ჟურნალისტებმა არა მარტო ღრმად უნდა გააშუქონ გარდაქმნის არსი, არამედ უნდა გარდაქმნან კიდეც თავიანთი შემოქმედებითი კოლექტივების მუშაობა. ამ მიმართულებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობის გამოცდილება და ანალიზი, ახალი პასუხსაგები ამოცანები სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის VI ყრილობის დელეგატთა ყურადღების ცენტრშია. ყრილობა გაიხსნა 14 მარტს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

ტაშით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები და სტუმრები ამხანაგებს ბ. ა. ალიევს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ვ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ვ. მ. ჩებრიკოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ნ. ნ. სლიუნკოვს, ს. ლ. სოკოლოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვას, გ. პ. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.

პრეზიდიუმში იყვნენ ჟურნალისტთა რესპუბლიკური კავშირების, საინფორმაციო საააგენტოების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტების ხელმძღვანელები, გაზეთებისა და ჟურნალების მთავარი რედაქტორები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, მუშსოფლკორები.

სტუმართა შორის იყვნენ ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი კ. ნორდენსტრენგი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდიუმის გენერალური მდივანი ი. კუბკა, მომძე ქვეყნების ჟურნალისტთა კავშირების დელეგაციები.

საანგარიშო მოხსენება სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მუშაობისა და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჟურნალისტთა კავშირის ამოცანების შესახებ გააკეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ვ. გ. აფანასიევმა.

ხუთი წელი გავიდა სსრ კავშირის ჟურნალისტთა წინა, მეხუთე ყრილობიდან.

ჯერ ეს იყო ჩვენი ცხოვრების მკვეთრი გარდატეხის აუცილებლობის გაცნობიერების წლები, ბოლო ორი წელი კი გადაწყვეტილებათა წლები, განახლების წლები. ეს ორი წელი მონიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმით, პარტიის XXVII ყრილობით და ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმით. იანვრის პლენუმმა დასახა გარდაქმნის თეორია და პოლიტიკა, წარმართა სკკპ XXVII ყრილობის გეზი პრაქტიკულად ყველა სფეროში, ნაზგასმით აღინიშნა მიმდინარე წლის თებერვალში მასობრივი ინფორმაციისა და ჟურნალების საშუალებათა ხელმძღვანელებთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრაზე. პლენუმის მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა, არის მისი მომავლისაკენ სწრაფვა, მისი პერსპექტივისათვის გამიზნული გაბედული მუშაობა.

მომხსენებელი შეეხო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროებში ჟურნალისტთა საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. ჩვენ, ჟურნალისტები, აღნიშნა მან, ვწყვეტთ ორ განსაკუთრებით რთულ და პასუხსაგებ ამოცანას.

პირველი: უაღრესად ზუსტად ავსახოთ გარდაქმნის მიმდინარეობა და შედეგები, დავეხმაროთ პარტიას, სახელმწიფოს მიაღწონ წარმატებებს გარდაქმნაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში.

მეორე: გარდავიქმნათ თავად, გარდავქმნათ საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — გაზეთები და ჟურნალები, რადიო და ტელევიზია, საინფორმაციო სააგენტოები, წიგნის გამომცემლები.

განიხილა რა გარდაქმნა, როგორც რთული სისტემა, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იგი მოიცავს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს: ეკონომიკას, პოლიტიკურ სისტემას, სოციალურ და სულიერ ცხოვრებას, მაგრამ ჟურნალისტებმა უპირველესი ყურადღება უნდა მიაპყრონ ეკონომიკას, როგორც ყველა სხვა დარგის საფუძველს. გარდაქმნა მოიცავს მთელ საზოგადოებას თავიდან ბოლომდე. ადამიანი, შრომითი კოლექტივი, საზოგადოება — ასეთია გარდაქმნის ვერტიკალური ჭრილის ძირითადი რგოლები. თუმცა ცოტას და ზოგჯერ სუსტად, მაგრამ ადამიანზე მაინც ვწერთ. ბევრს, მაგრამ ყოველთვის უნარიანად როდი ვწერთ საზოგადოებრივ პრობლემებზე. კოლექტივი კი, შრომითი კოლექტივი სადაც მორე პლანზე გვრჩება. ორატორმა მოუწოდა ჟურნალისტებს გაეძლიერონ ყურადღება შრომითი კოლექტივისადმი, ყოველმხრივ გამოიკვლიონ მისი მხარეები, ნიმანთვისებები — ეკონომიკური, სოციალური, სულიერი.

ახალი ამოცანები ისახება პრესის წინაშე სოციალისტური დემოკრატიის, ხალხის თვითმმართველობის ყოველმხრივი განვითარების პირობებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა დასახა პრესაში დემოკრატიის პრობლემათა დამუშავების მთელი პროგრამა. ჩვენი ამოცანაა ვიხელმძღვანელოთ ამ პროგრამით. განვახორციელოთ იგი თანამიმდევრულად, შეუპოვრად, სისტემატურად. აქ არის დადებითი გამოცდილებაც: ხელმძღვანელთა არჩევითობა წარმოებაში, ბოლო დროს კი საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში, საკონკურსო სისტემა, მუშაკთა ატესტაცია და ა. შ.

საჭიროა მხარი დავუჭიროთ ამ გამოცდილებას, დავიცვათ იგი ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმისაგან, ხელი შევუწყოთ მის ფართო გავრცელებას. ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, ქაღალდმთხზველობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო და კვლავ არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვანი ამოცანა.

დაჩქარების, გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტისათვის ადამიანის ფაქტორის გააქტიურება, დარაზმვა გულისხმობს დაუნდობელ ბრძოლას ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, ყოველგვარი იმ უცხოსაგან, ნაანრეკისაგან გაწმენდას, რომელიც ეწინააღმდეგება თვით სოციალისტური საზოგადოების არსს.

მაგრამ ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა არა გამოვავლინოთ, ავამთარეოთ მანკიერებანი, არამედ თავიდან ავიცილოთ ისინი, მივიღოთ პროფილაქტიკური ზომები. მაშ მოდით სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების, განსაკუთრებით დანაშაულობათა პროფილაქტიკას. ეს აქ უმნიშვნელოვანესი საშუალებაა დისციპლინისა და ორგანიზებულობის, წესრიგისა და პასუხისმგებლობის, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი მკაცრი, უმკაცრესი კონტროლის ყველგან დამკვიდრება.

პრესის მუშაკთა მეცადინეობა ხელს უწყობს ჯანსაღი მორალური ვითარების შექმნას კოლექტივებში, მთლიანად ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ამ სფეროში პრესამ ყველაფერი როდი გააკეთა. აქ გვაქვს ხარვეზები, გამოუყენებელი შესაძლებლობანი.

ყველაზე მთავარი ნაკლია სისტემურობის უქონლობა, ნახტომისებური მუშაობა, კამპანიურობა. რამდენიმე ზალი დაუშინეს ამა თუ იმ მანკიერებას და ჩაჩუმდნენ ზემოდან მორიგ მითითებამდე. ჟურნალისტები მთელ ყურადღებას უთმობენ ხშირად წვრილმან, მეორეხარისხოვან ფაქტებს, წვრილ საწარმოებსა და ორგანიზაციებს. ზოგჯერ გვიტაცებს საგანგებო და უბედური შემთხვევები. სენსაციების გამოდევნებაზეც არ ვამბობთ უარს. პრესამ სუსტად ანალიზდება სახალხო მეურნეობის დარგების, დიდი საკვანძო ობიექტების მდგომარეობა. იშვიათადაა განზოგადებული იმ საწარმოების დადებითი გამოცდილება, სადაც მაღალია შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, საკმარისად არ შუქდება პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების როლი და შესაძლებლობანი, კომუნისტის როლი და ადგილი წარმოებასა თუ ყოფაში წესრიგის დამყარებაში.

შეიმჩნევა სამართლისა და მორალის ნორმების დამრღვევებზე ზემოქმედების წმინდა იდეოლოგიური მეთოდებით გატაცება. სუსტად ვუწევთ პროპაგანდას და ვიყენებთ საზოგადოებრივი აზრის, კოლექტივის, ჩვენი დემოკრატიის მთელი სისტემის ძალას.

შენელდა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პრობლემის აღქმის სიმწვავე. ცოტა იწერება დასვენების ორგანიზაციის შესახებ.

საჭიროა პრესაში უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაშუქების გაძლიერება. ყოველთვის როდი ეძლევა მწვავე კრიტიკული შეფასება იმ პარტიულ, საბჭოთა და სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც ნელა ახალგებენ ბრძოლას უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ. შესამჩნევია სასამართლო პროცესების შესახებ პუბლიკაციებით, დანაშაულის დეტალების დაწვრილებით აღწერით გატაცება.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ მთელ რიგ საწარმოებში პროდუქციის სახელმწიფო მიღების შემოღებასთან დაკავშირებული ფართო სპექტრის საკითხები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე საწარმოთა გადაყვანის საკორდინაციო საბჭოს მორიგ სხდომაზე. პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა პოზიციებიდან მომთხოვნელად გაანალიზეს ამ სხდომაზე ახალ პირობებში მუშაობის პირველი შედეგები, კრიტიკულად გაიაზრეს წლის დამდეგიდან შეძენილი გამოცდილება და წამოჭრილი პრობლემები, განსაზღვრეს რესპუბლიკის ინდუსტრიის თვისებრივ გარდაქმნაში, მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებაში არასაუწყებო კონტროლის უკუგების ზრდის ქმედითი ღონისძიებანი.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

ინფორმაციებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია, ბ. დ. მახარაშვილი, ო. ვ. მელქაძე, სსრ კავშირის სახსნაფდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი დ. ლ. ქორთველიშვილი, აგრეთვე იმ გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები, სადაც შემოღებულია პროდუქციის სახელმწიფო მიღება.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლაკი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია.

სხდომის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

სხდომაზე ითქვა, რომ რესპუბლიკის იმ სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში, რომლებიც კონტროლის ახალ პირობებზე გადაერიდნენ, გარკვეული დადებითი ძვრები აღინიშნა. მაგალითად, თუ იანვარში არასაუწყებო კონტროლმა სახელმწიფო მიღებას დაქვემდებარებული პროდუქციის 84,8 პროცენტი მიიღო, თებერვალში ამ მაჩვენებელმა უკვე 94,7 პროცენტს მიაღწია. წლის პირველ თვეს ხარისხის სახელმწიფო კონტროლის მეშვეობით ნაწარმის ასპროცენტიანი ჩაბარება ვერ უზრუნველყო 9 წარმოებამ. თებერვალში — ექვსმა.

პროდუქციის სახელმწიფო მიღება მოითხოვს საწარმოში წესრიგის დამყარებას ყველა პარამეტრით — ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, მომარაგების პარამეტრებით. არასაუწყებო კონტროლმა, რომელიც მკაცრი გამომცდელი გახდა, კიდევ ერთხელ დაარწმუნა სამეურნეო მუშაკები იმ ეკონომიკური აქსიომის სამართლიანობაში, რომ:

ᲠᲘᲢᲛᲣᲚᲝᲑᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲐᲐ

ᲗᲣ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗ კონვეიერი შეუფერხებლად, უავარლოდ მოქმედებს, თუ მუშაკები დაკისრებული საქმისათვის დიდ პასუხისგებლობას იჩენენ, გადაუჭრელი პრობლემები ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ერთ პრაქტიკულად არ არის. ეს დაამტკიცეს ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის მშრომელებმა.

ამ საწარმოს სტატისტიკური მონაცემები მოწმობს: იანვარ-თებერვალში პროდუქციის სახელმწიფო მიღების პროგრამამ აქ შეადგინა 100,2 პროცენტი, დამატებით ფოთელებმა არასაუწყებო კონტროლს წარუდგინეს კიდევ რამდენიმე ათასი მანეთის ნაწარმი. მარტის პირველ დეკადაშიც არც ერთი ნაწარმი არ დაუბრუნებიათ გადასაკეთებლად. ასეთი სტაბილური მუშაობის საფუძველია დეკადების მიხედვით გეგმის ზუსტი შესრულება. თვის ბოლოს ჩვეულ იერიშობანაზე კი მათ ხელი აალბინა სახელმწიფო მიღებამ. არასაუწყებო კონტროლის

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-3 ᲒᲕ.)

ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲑᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲩᲐᲚᲓᲐ

ᲥᲐᲡᲞᲘ. (საკ. კორ.). მეთერთმეტე ხუთწლედში რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ხილის მოსავლიანობა ჰექტარზე 40-დან 72 ცენტნერამდე გაიზარდა და შარშან სწორედ ამ გზით 2.000 ტონა ხილი მიიღეს გეგმის გადამეტებით.

ქასპელი მებაღეები წელს უკეთესი მაჩვენებლებისათვის შრომობენ. ამიტომ აქ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, 5.748 ჰექტარ ხეხილის ბაღებში მიწა მოიხნა, შეტანილია ფოსფოროვანი, კალიუმიანი და აზოტოვანი სასუქები, სხვლა დამთავრდა 4.200 ჰექტარზე, ტენის დასაგროვებლად მოირწყა 2.400 ჰექტარი.

ზემო ხანდაკის, კოდასწყაროს, ქვათახევის, ქსნის საზოგადოებრივი მეურნეობები მეწინავეობენ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ვადამდე და ხარისხიანად შესრულებისათვის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

წლეულს ქასპელი მევენახეების შრომაში სიახლეა: ოკამის მევენახეობის საყრდენ-საჩეენებელ მეურნე

პრესა დაჩქარების ბერკეტია

(დასასრული)

ორატორი შეეხო ჩვენი იდეოლოგიის, აღზრდის ზოგიერთ მტკივნეულ საკითხს. მან აღნიშნა, რომ ნაციონალისტური განწყობილების გამოცოცხლებას, რომელიც ხანდახან სერიოზულ კონფლიქტებად გადაიქცევა ხოლმე, პრესამ უნდა დაუპირისპიროს იდეები და საქმეები, რომლებიც ადამიანს უნერგავენ ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის გრძნობას. რელიგიის, რელიგიური შეხედულებებისა და წესჩვეულებების გააქტიურებას პრესამ უნდა დაუპირისპიროს მეცნიერული დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა, ჩვენი საბჭოთა წესჩვეულებები. როცა ზოგადაცობრიულ ღირებულებებს ვამკვიდრებთ უაღრესად საშიშ თერმობირთვულ და კოსმოსურ საუკუნეში, არ უნდა დავკარგოთ კლასობრივი, პარტიული ორიენტირები.

ამ მუშაობას უნდა ვაქტიურებდეთ, ვეწეოდეთ მას სისტემატურად, თანამიმდევრულად. ჩვენს ფურცლებზე, ეკრანებზე, რადიოგადაცემებში ადამიანებს აწვდიდეს სრულ კონსტრუქციულ სიმართლეს, აშუქებდეს ხალხის ცხოვრებას, ბედს, მისი რეალური დიალექტიკით, სირთულით, წინააღმდეგობებით, მისი მიღწევებითა და შეცდომებით — ეს არის საბჭოთა ჟურნალისტიკის წმიდათაწმიდა ამოცანა.

ახლა მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აბარებენ ყველაზე სერიოზულ გამოცდას, იმ გამოცდას, თუ როგორ დაეხმარონ პარტიას უფრო ეფექტიანად, ქმედითად, ოპერატიულად სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში, გარდაქმნაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში.

გაზეთებსა და ჟურნალებში, რადიოსა და ტელევიზიაში, საინფორმაციო საგენტოების მასალებში გაჩნდა ახალი თემები, რუბრიკები. იმართება „მრგვალი მაგიდები“, განხილვები, დისკუსიები, რეიდები და კამპანიები. დიახ, პრესა გარდაიქმნება. განსაკუთრებით ეს გარდაქმნა შესამჩნევია ცენტრალურ პრესაში და ეს უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და პოლიტიბიური პრესას განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ, უშუალოდ ხელმძღვანელობენ მას. მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვებში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ჟურნალისტებთან. ეს ექვსსაათიანი შეხვედრა, შეხვედრა-საუბარი, გულახდილი სკა-ბაასი უაღრესად საინტერესო და ნაყოფიერი იყო. ამ შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა შეიცავს გარდაქმნის, დაჩქარების პირობებში პრესის მოქმედების ვრცელ, კონკრეტულ პროგრამას. საბჭოთა ჟურნალისტები შეიარაღდნენ ამ პროგრამით.

ჟურნალისტიკაში საკმაოდ ღრმა და ფართო დემოკრატიული ტრადიციებია. პრესის ორგანოები ხომ ყოველთვის იყვნენ კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოები. ეს დემოკრატიული ტრადიციები ვ. ი. ლენინისაგან მოდის. ახალ პირობებში ისინი სრულად უნდა გამოვიყენოთ.

გარდაქმნა პრესაში გულისხმობს, რა თქმა უნდა, მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებებსაც, გამოცემათა სტრუქტურის, სტამულირების სისტემის სრულყოფას. მაგრამ ჩვენი მკითხველისათვის სულ ერთია, რამდენი განყოფილება გვაქვს რედაქციაში, კი ხელმძღვანელობს მათ, როგორი ხელფასი აქვს ამა თუ იმ თანამშრომელს. მკითხველისათვის მნიშვნელოვანია თვით მასალა, რომელსაც ვაწვდით, მისთვის მნიშვნელობა აქვს ჩვენი პუბლიკაციების შინაარსს. ამიტომ გარდაქმნა უნდა განვახორციელოთ უწინარეს ყოვლისა ჩვენი მასალების შინაარსის სფეროში.

დადებითი ცვლილებებია რესპუბლიკურ და ადგილობრივ გამომცემებში. მაგრამ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, მათგან ყველა როდი ჩაება ნამდვილად გარდაქმნაში, მათ აკლიათ პრინციპიანი საკითხების დაყენებაში, ნაკლოვანებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. ბევრი პარტიული კომიტეტი ყოველთვის როდი იყენებს სათანადოდ ინფორმაციის საშუალებებს — გარდაქმნის ამ მძლავრ ბერკეტს, ზოგან კი კვლავაც ბოჭავენ მათს საქმიანობას.

სწორედ რომ ბოჭავენ, ხშირად კი უბრალოდ ახშობენ ადგილობრივი პრესის კრიტიკულ მიმართულებას. და შემთხვევითი როდია, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უწევს ჩაერიოს, რათა აღადგინოს პეშმარიტება და სამართლიანობა, მხარი დაუჭიროს პრესას, პატიოსან ადამიანებს, რომლებსაც საქმისათვის შესტკივათ გული. დაახლოებით ათი დადგენილება მიიღო ცენტრალურმა კომიტეტმა პრესის, მისი გამოსვლების გამო.

და მაინც, გარდაქმნა პრესაში, თუ მას მთლიანად ავიღებთ, ძნელად, ნელა მიმდინარეობს, ზოგიერთი ჟურნალისტი მოუმზადებელი, არაკომპეტენტური აღმოჩნდა გარდაქმნისა და დაჩქარების პრობლემების დაყენებისა და გადაჭრის საქმეში. ზოგნი დაიბნენ, ძალები ვერ მოიკრიბეს, ვერ მოიმრეს უძრაობის, პარადოქსულობისა და ჟურნალური პირობებში გამომუშავებული აზროვნების სტერეოტიპები. თავი იჩინა გარდაქმნის გაჭიანურებამაც ცხოვრებაში. სინამდვილეში, განსაკუთრებით ადგილებზე.

პრესის გარდაქმნა ჩვენი, ჟურნალისტური საქმეა, და იგი უნდა ვაკეთოთ აქტიურად. შემოქმედებითად, უაღრესად პრინციპულად.

შეეხო რა ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიც არის პრესაში გამოსვლების. ქმედითობა, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბოლო წლებში, განსაკუთრებით ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ, უფრო ოპერატიული, ქმედითი და მტკიცე გახდა რეაქცია კრიტიკულ გამოსვლებზე, შემცირდა კრიტიკისათვის აკრძალული ზონების რაოდენობა. ახლა უფრო მაღალი რანგის პირებსაც აკრიტიკებენ. მათ შორის არიან რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებიც, მინისტრებიც, სამხარეო, საოლქო კომიტეტებიც.

და მიუხედავად ამისა, კრიტიკისადმი დამოკიდებულების ნორმალურად ვერ მივიჩნევთ.

დიდად სამწუხაროა, რომ ნებსით თუ უნებლიეთ გამომუშავდა პრესაში კრიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის საკმაოდ ბევრი ხერხი. კრიტიკისათვის „აკრძალული ზონები“ მაინც დარჩა. ვთქვათ, კოსმოსური უწყვნები. ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის მათ მზადაა ქვა. რკინისებური ფორმულა: „მექანიზმები ნორმალურად მუშაობენ, კოსმონავტები თავს ჩინებულად გრძნობენ“. ამ უწყებების ვიზის გარეშე პრესას არა აქვს უფლება თქვას ისეთი რამ, რაც მათ არ სურთ. ინაქრონიზმი? დიახ! ეს უწყებები რკინის თაოს ადებენ პუბლიკაციებს უცვლელი გრიფით „ყველაფერი წესრიგშია“ და პრესას, მასთან ერთად კი მის მკითხველებსაც, ხალხს, არ აწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ. თუ როდინ სახიფათო გმირულ შრომას ეწევიან კოსმონავტები. და როდინ დიდი, თავდადებული, გმირი ადამიანები არიან სამშობლოს ეს საყვარელი შვილები. არადა, მათ მაგალითზე ხომ შეიძლება აღიზარდონ ჩვენი შვილები, ახალგაზრდობა. მით უმეტეს, რომ მათ ერთთავად პირზე აკერიათ კოსმოსი. კიდევ ერთი აკრძალული ზონაა ეკოლოგია. აქაც საჭიროა მრავალი შეთანხმება, თანაც ისეგ დაინტერესებულ უწყებებთან (წყალთა მეურნეობის სამინისტრო, ჰიდრომეტეოროლოგიის კომიტეტი და სხვ.). დიდი გაჭირვებით, ცენტრალური კომიტეტის მდივნის დახმარებით შეძლო „პრავდამ“ დაებეჭდა მასალები ბაიკალზე, იმაზე, რომ საჭირო იყო გადაგვესინჯა არაჩვეულებრივი გეგმები, რომელთა მიხედვით ჩრდილოეთის მდინარეები სამხრეთისაკენ უნდა შეგვებრუნებინა.

ბოლო დროს იყენებენ კრიტიკის უარყოფის საკმაოდ მარტივ, მაგრამ საკმაოდ მძლავრ ხერხს. ყრილობაზე ან ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამა თუ იმ საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გააკრიტიკებს (ხშირად ზოგადად, არაკონკრეტულად) ცენტრალურ პრესას. შემდეგ უკვე ძნელია ამ ოლქის გაკრიტიკება. ყოველგვარი კრიტიკა მიჩნეული იქნება ლამის კრიტიკისათვის გაზეთის შურისძიებად. იქმნება კრიტიკისათვის ახალი „აკრძალული ზონა“.

საქმე იქამდე მიდის, რომ საერთოდ, ცდილობენ საეჭვო გახადონ ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი ორგანოების უფლება გაკრიტიკონ საოლქო კომიტეტები. არგუმენტი ასეთია: გაზეთის კორესპონდენტი, რომელსაც არა აქვს პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება, მათ მუშაობაზე ვერ იმსჯელებსო.

ისმის კითხვა: როდიდან და რატომ აღარ ითვლება პარტიული გაზეთის ჟურნალისტი პარტიულ მუშაკად? პარტიული პრესის ჟურნალისტის მუშაობა იყო და კვლავ არის პარტიული მუშაობა. ჯერ ერთი ეს. მეორე, მრავალი ჟურნალისტი წლობით მუშაობდა უშუალოდ პარტიულ ორგანიზაციებში, ან ათწლეულობით, როგორც ჟურნალისტი, სწავლობდა პარტიულ მუშაობას და მას ზედმიწევნით იცნობს. და ბოლოს, მესამე, კრიტიკა კონკრეტული უნდა იყოს. დაასახელე გაზეთის მასალა, თქვი, რას არ ეთანხმები, დაამტკიცე შენი სიმართლე. და გაზეთი, თუ შეცდა, ბოდიშს მოიხდის.

ხშირად პრესის გამოსვლებს უბრალოდ ჩქმალავენ, როგორც იტყვიან, არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“, განსაკუთრებით მტკივნეულად ეკიდებიან კრიტიკას შემოქმედებითი ორგანიზაციები, ლიტერატორები, ხელოვნების მოღვაწენი. ისინი არათუ პასუხს არ იძლევიან კრიტიკაზე, არამედ ზოგჯერ აჩალებენ „ანტიკრიტიკულ“ კამპანიას. ისინი კომპლიმენტურ „კრიტიკას“ მიეჩვივნენ.

კრიტიკაზე რეაგირების (უფრო სწორად, კრიტიკის უკუგდების) ყველაზე გავრცელებული სახეობაა ფორმალური, წერილობითი პასუხი — ფუჭი, უშინაარსო პასუხი. თითქოს კრიტიკაზე გასცეს კიდეც პასუხი, მაგრამ ქმედითი ღონისძიებანი არ განუხორციელებიათ.

ხშირად კრიტიკულ გამოსვლებს ან მკითხველთა სარჩოს წერილებს, შენიშვნებს, უგზავნიან ორგანიზაციებს, რომლებსაც აკრიტიკებენ, უჩივიან. შედეგი ცნობილია: საქმეს ნელ-ნელა წაუყრუებენ ხოლმე. ხარვეზებსა და ნაკლოვანებებში ბრალეულთა, ზოგჯერ კი დამნაშავეთა მიმართ ხშირად ლიბერალური დამოკიდებულებაა.

ზოგჯერ პრევენტიულ ზომებსაც მიმართავენ. საკმარისია კორესპონდენტი გაიგზავნოს დაალებით, გააკრიტიკოს ან შეაგრძოვოს კრიტიკული მასალა, ამას მაშინვე ტელეფონის ზარი მოჰყვება ხოლმე. ცდილობენ ხელი შეუშალონ გამოსვლას, და თუ ამას ვერ ახერხებენ, ეძებენ მისაღებ, არაფრის მთქმელ პასუხს, რეკავენ რედაქციაში, კითხულობენ, „ვინ დართო ნებაო“.

ჩვენ კრიტიკის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩახშობის ბევრი ფაქტი გვაქვს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, რომ საჭიროა კვლავაც განვავითაროთ საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, სოციალისტური დემოკრატიის ეს ნაკადი ინსტრუმენტი. ამასთან დიდი როლი განეკუთვნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

კრიტიკა ბასრი იარაღია, და იგი უნარიანად, ჭკვიანურად და ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ. კრიტიკა მხოლოდ მაშინ არის ქმედითი, როცა კონკრეტული, უზადოდ ზუსტი, აღშფოთებლობითია. განსაკუთრებით დაუშვებელია ცალმხრივობა, ფაქტების დამახინჯება. პიროვნების, კოლექტივის პატივისა და ღირსების შელახვა. იმათ, ვისაც აკრიტიკებენ, პასუხი უნდა აგონ შეცოდებისათვის.

ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველთვის პასუხისმგებლობის გრძნობით არ ვეკიდებით საკუთარ გამოსვლებს, ეუშვებთ შეცდომებს, უზუსტობებს, ხარვეზებს, ვაზვიადებთ ხოლმე. ხანდახან გამოვდევნებით ხოლმე სენსაციას, „ცხელ-ცხელ“ ამბავს. ასეთი ფაქტები პრობლემისადმი ზერელე, ცალმხრივი მიდგომის შედეგია.

გაზეთში კრიტიკულმა (ნეგატიურის) და დადებითის თანფარდობას როცა შეეხო, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადებითი მასალების ძირითადი მასა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ლოკალური, მოკლეშეულია საზოგადოებრივ ღელვარადოს. ჟურნალისტები ცუდად ეძებენ გარდაქმნის პოზიტიურ გამოცდილებას, მდიან ყველაზე ადვილი, გაკვალული გზით — ცნობილი მისამართებისა და სახელების მიხედვით. გარდაქმნის დადებითი გამოცდილება ჯერჯერობით დიდი არ არის, იგი, რომ იტყვიან, მისხალ-მისხალ დაითვლება. ამ გამოცდილების მისხალ-მისხალ შეგროვება, მისი მხარდაჭერა, გავრცელება დაუსახა სწორედ ამოცანად ჟურნალისტებს პარტიამ.

მაშ ასე, გარდაქმნა და დაჩქარება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პრესის მუშაობაში გულისხმობს უწინარეს ყოვლისა მისი შინაარსის გადასინჯვას, პრესის შემობრუნებას საბჭოთა საზოგადოების გარდაქმნის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პრობლემებისადმი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, სამეურნეო მექანიზმის, მართვის მთელი სისტემის ფაქტორების, ადამიანის ფაქტორის ღრმა, ყოველმხრივი შესწავლისა და ასახვისადმი. რა გვაქვს, რას მივაღწიეთ დადებითს, რა ვერ მივიყვანეთ ბოლომდე, და, რაც მთავარია, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ, რათა დაჩქარება იქცეს ცხადად, ჩვენს ყოველდღიურ სინამდვილედ, — ასეთია ჩვენი პარტიის, რადიოს, ტელევიზიისა და საგამომცემლო საქმის ზეამოცანა.

იმისათვის, რომ ვიყოთ დროის მოთხოვნათა დონეზე, საჭიროა დღეგიდან ავამაღლოთ ჟურნალისტების ოსტატობა, მუშაობის ხარისხი — იმათიც, ვინც, წერს და იმათიც, ვინც არედაქტირებს; გავაძლიეროთ მომთხოვნელობა, მოძკითხველობა ავტორებისადმიც და რედაქტორებისადმიც.

პრესაში ჯერ კიდევ არიან აშკარად სუსტი მუშაკები. კიდევ უფრო მეტია „საშუალო“ მუშაკი, უბრალოდ რომ გამოიმუშავეს თავის ხელფასს. ამას ხელს უწყობს გამთანაბრებლობაც, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ჟურნალისტთა შრომის ანაზღაურებაში. საბოლოოდ უნდა გავათავისუფლოთ ჩვენი რიგები ადამიანებისაგან, რომლებსაც არ ძალუძთ პრესაში მუშაობა.

ბოლო უნდა მოვუღოთ გამთანაბრებლობასაც. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით იდგმება. მთელი რიგი ცენტრალური გაზეთები გადავიდნენ შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე. ხელფასის წლიური ფონდის ფარგლებში ხდება შრომის ანაზღაურება ვარირება. მაღალი ხარისხისათვის, ოსტატობისათვის პრესის მუშაკებს საშტატო სარგოს 50 პროცენტი ემატებათ.

ერთეულთა ოსტატობიდან მრავალის, საბოლოო ანგარიშით კი, მთელი კოლექტივის ოსტატობისაკენ — ეს გვესახება ჟურნალისტთა მუშაობის გარდაქმნის, მისი ხარისხის გაუმჯობესების დეფაზრად.

ჩვენ უფრო აქტიურად უნდა ვეძებოთ ნიჭიერი ავტორები (ქვეყანა მდიდარია ტალანტებით), უფრო ფართოდ უნდა მოვიზიდოთ მწერლები, პუბლიცისტები, მეცნიერები, მუშები, კოლმეურნეები, მოაზროვნე ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან საქმე, რომლებსაც უჭირთ კალამი ჩვენ უფრო უკეთ უნდა ვიყენებდეთ საკუთარ მუშაკებს.

ხელმძღვანელები უფრო გაბედულად უნდა კისრულობდნენ პასუხისმგებლობას, არ უშინდებოდნენ მას, უფრო ფართოდ იყენებდნენ თავიანთ უფლებებს. ხელი უნდა ავიღოთ მრავალრიცხოვან „შეთანხმებებზე“, მასალების გაჭიანურებულ დამუშავებაზე, „თვითცენზურაზე“, რაც ამცირებს პუბლიკაციების ოპერატიულობას, ხელს უშლის ჩვეული, ადრე წამოჭრილი თემების ფარგლების დაძლევას, წარმოშობს აზრის ეფემოლამობას, შებოჭილობას.

ჟურნალისტთა შემოქმედებითი საქმიანობის არსებით ნაკლად რჩება მასალების ჟანრული ერთფეროვნება, სხვადასხვა ჟანრული ფორმების შემოქმედებითი რესურსების, მათი საანალიზო და ხატოვანი შესაძლებლობების სუსტი გამოყენება. მეტ ყურადღებას უნდა ვუთმობდეთ პრობლემურ, სოციალურ, კრიტიკულ რეპორტაჟს, ანალიზურ ინტერვიუს, კორესპონდენციას, პუბლიცისტურ დიალოგს, სოციოლოგიურ პორტრეტს, ნარკვევს, პრობლემურ სტატიას.

ორატორი შეეხო მშვიდობისათვის ბრძოლაში საბჭოთა პრესის როლის გაძლიერების საკითხებს. საგარეო პოლიტიკის დარგში პრესის მუშაობის ძირითადი თემაა სოციალიზმის, როგორც კაპიტალიზმის ალტერნატივის, სოციალიზმის, როგორც მშრომელთა საზოგადოების, სოციალური სამართლიანობის, რეალური დემოკრატიის საზოგადოების, ისეთი საზოგადოების პროპაგანდიც, რომელიც უარყოფს მილიტარიზმს, ძალის პოლიტიკას და კაცობრიობას უბრძოვთ პერსპექტივას უსახავს.

პრესა ცდილობს სრულად, ყოველმხრივ წარმოაჩინოს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მშვიდობიანი ხასიათი, თვალსაზრისი გამოავლინოს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივების არსი და მნიშვნელობა. ჩვენ სისტემატურად უნდა ვაჩვენებდეთ იმას, რომ სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ეფექტიანობა გადამწყვეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებით ვუძღვებით ჩვენს შინაურ საქმეებს, დამოკიდებულია ყოველი კომუნისტის, ყოველი მოქალაქის წვლილზე მთლიანად ქვეყნის წარმატებების მიღწევაში.

შეეხო რა ჟურნალისტთა კავშირის საერთაშორისო საქმიანობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იგი ფართოდება და ღრმავდება. ახლა კავშირურთიერთობა დამყარებულია ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 66 ქვეყნის 80 ეროვნულ ჟურნალისტურ ორგანიზაციასთან. სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირი 4 საერთაშორისო სპეციალიზებული ჟურნალისტური ორგანიზაციის წევრია. კავშირის საერთაშორისო საქმიანობის წამყვანი მიმართულებაა თანამშრომლობის ახალი ეფექტიანი ფორმების გაღრმავება და ძიება.

კავშირის V ყრილობის შემდეგ გასულ წლებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, საერთაშორისო დემოკრატიულ ჟურნალისტური მოძრაობის რიგების ერთიანობის გაძლიერებას, მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლას ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში.

კავშირის შემოქმედებითი საქმიანობის დახასიათებისას ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა არჩევითი ორგანოების მუშაობის აქტივიზაცია. გამგეობის ზოგიერთი პლენუმის მარგი ქმედების კოეფიციენტი არცთუ ისე დიდი იყო. წამოყენებული საკითხების განხილვას ყოველთვის არ ჰქონდა ნამდვილად შემოქმედებითი, დისკუსიური ხასიათი. იგი არ აღძრავდა საბჭოთა ჟურნალისტიკის მომწიფებულ შემოქმედებით პრობლემებს. გამეფებული იყო მრავალსიტყვაობისა და ქათინაურების სულისკვეთება, რომლის დაძლევაც რამდენადმე მოხერხდა მხოლოდ ბოლო პლენუმებზე.

ჩვენს წარმატებებსაც და ნაკლოვანებებსაც სარკესავით ასახავს რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო ჟურნალისტური ორგანიზაციების საქმიანობა. მთლიანად მათი მუშაობა ჯერ ერთობ შორს არის გარდაქმნის მოთხოვნებისაგან. მოწყობილი კონფერენციებისა და ყრილობების დროს ითქვა, რომ ამ საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრია ზედმეტი ორგანიზებულობა, ფორმალიზმი, შტამპი და, რომ აშკარად იგრძნობა ცოცხალი საქმის ნაკლებობა.

ახლანდელ პირობებში მკვეთრად იზრდება პირველადი ჟურნალისტური ორგანიზაციების როლი და ადგილი, რომელთა რიცხვი კავშირში დაახლოებით ხუთი ათასია. სწორედ აქ იბადება ყოველივე ახალი, ყოველივე ცოცხალი, აქ გადის დაჩქარებისათვის, გარდაქმნისათვის ბრძოლის წინა ხაზი. პირველადი ორგანიზაციები უნდა გახდნენ ახალი საქმეების თაოსნები და ჩვენ აქტიურად დავუჭერთ მათ მხარს ამაში.

ორატორი შეეხო მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც ჟურნალისტებს აღელვებენ.

ორატორმა აღნიშნა, რომ საპირო სეფიოზული გარდაქმნა ჟურნალისტთა კადრების მომზადების სფეროში, რასაც ჯერჯერობით განმანათლებლობითი ხასიათი აქვს, და არა პრაქტიკული.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი შემოქმედებითი კავშირია. ქვეყანაში ასიათასამდე ჟურნალისტი შრომობს. მათგან 85.182 კავშირის წევრია. ჩვენს მხარდამხარ მუშაობს დაახლოებით 6 მილიონი შტატგარეშე კორესპონდენტი. ესენი არიან პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, მეცნიერები, სპეციალისტები, მუშები, კოლმეურნეები.

ზოგ-ზოგებს ჩვენ შემოქმედებითი კავშირი კი არა პროფესიული კავშირი ვგონივართ, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა. ჩვენ არ ვსაოგებლობთ იმ პრივილეგიებით (ეს კი არც თუ ისე დიდი პრივილეგიებია), რომლებიც მეურნეობს, მხატვრებსა და კინოს მუშაკებს აქვთ. ჩვენ არა გვაქვს ჟურნალისტთა ფონდი. ჟურნალისტებს, განსაკუთრებით რაიონულ და მრავალტირაჟიან დონეზე, ძალიან პატარა სარგოები აქვთ. არც ბინებით გვანებივრებენ: ჟურნალისტების დაახლოებით მესამედი ქირით ბინებს ქირაობს. ჟურნალისტების მხოლოდ მეათედ ნაწილს შეუძლია მიიღოს სანატორიუმის, დასასვენებელი სახლის, პანსიონატის საგზური.

მომხსენებელმა დაახასიათა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წესდების ახალი რედაქციის პროექტი, რომელიც ყრილობაზე განიხილება. ამ პროექტის ძირითადი იდეაა შეუსაბამოს კავშირის წესდების მთავარი დებულებები ცხოვრების, გარდაქმნის, დაჩქარების მოთხოვნებს, აგრეთვე განაზოგადოს ჟურნალისტური ორგანიზაციების გამოცდილება ამ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც პარტიის XXVII ყრილობამ დაუსახა მასობრივი ინფორმაციისა და პრაპაგანდის საშუალებებს, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირს.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ვ. ი. ნოვიკოვმა.

სამანდატო კომისიისაგან გამოვიდა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ი. ა. ზუბკოვი.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის VI ყრილობის მონაწილეთა სახელით მიიღეს მისასალმებელი წერილი ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეთა ყრილობისადმი, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობს ქაბულში.

შემდეგ დაიწყო კამათი.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საკდესი).

სტაბილურად მუშაობს გაერთიანება „ჰიათურმანგანუმის“ ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მეექვსე საწარმოო უბნის კოლექტივი. მამდიდრებელ ფაბრიკაში გეგმის გადაჭარბებით გაიგზავნა ათასობით ტონაზე მეტი ნედლეული. ამ წარმატებაში მაღალკვალიფიციური მბურღავის თენგიზ გამეზარდაშვილის შრომის წვლილიც არის. მისი ინიციატივით უბანი, სადაც იგი მუშაობს, ერთ-ერთი პირველი ჩაება ხუთწლედის ორი წლის გეგმის დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შესასრულებლად გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სურათზე: მოწინავე მბურღავი თენგიზ გამეზარდაშვილი.

ა. მაჰაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოფიციალური განყოფილება

განვავითაროთ თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედება

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების ყოველმხრივი განვითარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის დასახული პარტიის კურსის განხორციელების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი აფართოებს მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში საბჭოთა ადამიანების ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობებს, ხელს უწყობს მათი ინტელექტუალური და კულტურული დონის ამაღლებას, ინდივიდუალური შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენას, თვითშეგნების ზრდას, აქტიური და საზოგადოებრივად სასარგებლო დასვენების ორგანიზაციას, ახალგაზრდობისა და მოზარდების შემოქმედებითი შრომითი ჩვევების აღზრდას, მოსახლეობის ყოფითი კულტურის ამაღლებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ამასთან ამ მუშაობის ორგანიზაცია, მასშტაბი და ფორმები ვერ უზრუნველყოფს თვითმოქმედი ავტორების შემოქმედებითი პოტენციალის აქტიურ გამოყენებას, არ იძლევა ამ საქმის ენთუზიასტთა უნარისა და ნიჭის მთლიანად გამოვლენის შესაძლებლობას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს, მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებების საკავშირო საბჭოსა და სსრ კავშირის დოსაფის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად მიაჩნიათ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საბჭოთა ადამიანების, უწინარეს ყოვლისა კომკავშირელების და ახალგაზრდობის თვითმოქმედ ტექნიკურ შემოქმედებას. უნდა უზრუნველყონ თვითმოქმედი ავტორების ყველა წინადადებისა და ნამუშევრის ყურადღებიანი განხილვა და კვალიფიციური შეფასება, სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების ძალებით ყველაზე ეფექტიან სიახლეთა ნიმუშების დამზადება და გამოცდა, იღვაწონ, რომ არც ერთი სასარგებლო ტექნიკური იდეა არ დარჩეს უყურადღებოდ და სახალხო მეურნეობაში გამოუყენებელი.

თვითმოქმედი ავტორების საჭიროებისა და პრობლემებისადმი უყურადღებობის ყოველი ფაქტი, მათი პრაქტიკული ღირებულების წინადადებებისა და ნამუშევრების რეალიზაციისათვის თავის არიდება პარტიულმა კომიტეტებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა უნდა მიიჩნიონ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევად.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების კლუბები სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან. ასეთი კლუბები შეიძლება შეიქმნას აგრეთვე კულტურის სასახლეებთან (სახლებთან) და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სხვა დაწესებულებებთან, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საკავშირო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ტექნიკის სახლებთან, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან.

სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაევალათ დაუყოვნებელივ შეუდგნენ ამ მუშაობას, რათა უკვე 1987 წელს ქვეყანაში ძირითადად დამთავრდეს თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების კლუბების შექმნის პროცესი და დაიწყოს მათი დიდი შემოქმედებითი უკუგება. ქვეყანაში თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების ორგანიზაციის, განვითარებისა და პროპაგანდისათვის მუშაობის კოორდინაციას განახორციელებს სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმრენების სამეცნიერო-საწარმოო კომიტეტი გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მონაწილეობით. ამ მიზნით იქმნება თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების ხელმეწყობის ცენტრალური კომისია ამ კომიტეტის თავმჯდომარის მეთაურობით.

განისაზღვრა სამინისტროები, რომლებიც მეთაური სამინისტროები არიან ძირითად სახეობათა ტექნიკის მიხედვით თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების განვითარებაში.

დადგენილია შესაბამისი პრემიები, რომლებიც ენიჭებათ თვითმოქმედი ავტორების საუკეთესო ნამუშევრებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტების საკავშირო კონკურსების შედეგების მიხედვით. გამოიცემა სპეციალური ჟურნალი ქვეყანაში თვითმოქმედი ტექნიკური შემოქმედების ორგანიზაციისა და განვითარების საკითხთა გაშუქებისა და თვითმოქმედი ავტორების ყველაზე საყურადღებო ტექნიკური იდეების, გადაწყვეტებისა და ნამუშევრების შესახებ მასალების გამოქვეყნების მიზნით.

ზრუნვა ხანდაზმულებისა და ინვალიდებისათვის

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება „ხანდაზმულებისა და ინვალიდების მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების

სახელმწიფო მიღება: პირველი შედეგები და პირველი გაკვეთილები

(დასასრული)

მუშაკებმა, ემყარებოდნენ რა ნორმატივებს, რომლებიც შემოწმების დროს ზუსტად განსაზღვრავენ ყოველი მიწასაწოვის ხარჯსს, თქვეს უარი დაიჩარებინათ ეს პროექტები. ასე რომ, ახლა მანქანათმშენებლებმა იციან: სახელმწიფო მიღების წინა დღეებში პროდუქციის დახვავებას, ნებისმიერ ფასად გეგმის შესრულებას აზრი აღარა აქვს — რის შემოწმებასაც ვერ მოასწრებენ, იმ პროდუქციის მომხმარებლისათვის გაგზავნის ნებას არ მისცემენ. შედეგი კი ასეთია: უკვე მესამე თვეა ქარხანაში პირველ დეკადაშივე საწარმოო პროგრამის დაახლოებით მესამედს ასრულებენ.

შედარებით თანაბარზომიერად და პროპორციულად წარუდგენენ პროდუქციას სახმიღების ორგანოებს თვის განმავლობაში თბილისის ყამგოლ-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტი“ და მეტალურგიული ქარხანა, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანების ქარხანა.

მაგრამ ყველა ასე რიდი იქცევა. საკორდინაციო საბჭოს სხდომაზე მოიყვანეს ასეთი შემაშფოთებელი ფაქტები: ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანის“ ქარხანაში თებერვლის მესამე დეკადაში გამოუშვეს პროდუქციის თვიური მოცულობის 70 პროცენტზე მეტი, თბილისის „ანალიზელსაწყოს“ საწარმოო გაერთიანებაში, „მიკრომრავისა“ და „ეკრანის“ ქარხნებში — ნახევარი, ხოლო კალინინის სახელობის სამხმელო მოწყობილობის ქარხანაში თითქმის მთელ ნაწარმს თვის დამლევს წარადგენენ.

ერიტმო შუშაობა სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ხარისხს, წარმოების მუშაკებს იძულებულს ხდის საანგარიშო პერიოდის მიწურულს პროდუქცია დაამზადონ ფაციფუცით, ნაკლებად იზრუნონ მისი ხარისხისათვის. არადა, სახმიღებაზე გადასული საწარმოები ხომ რესპუბლიკის ინდუსტრიის ერთ-ერთ წამყვან კომპლექსს შეადგენენ, რომელიც ყოველწლიურად თითქმის მილიარდ 300 მილიონი მანეთის ნაწარმს უშვებენ. ამიტომ დღეს განუზომლად გაიზარდა წარმოების მეთაურთა როლი და პასუხისმგებლობა, რომლებიც ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ ხარისხის შემადგენელი ნაწილებიდან არც ერთის დეფიციტი არ იგრძნობოდეს. არასაუწყები კომისიის კონტროლი უნდა გახდეს თითოეულის — მუშისა თუ მინისტრის პოლიტიკური სიმწიფის ნამდვილი შემოწმება, ის ინდიკატორი, რომელიც თვალნათლივ გამოავლენს მათ პროფესიულ მომზადებას, გაჩდაქნის უნარსა და სურვილს. დადგა დრო გადავიდეთ სიტყვიდან საქმეზე, სახმიღების მეტისმეტი ზარიანობის შესახებ ჩვენ ოდესღაც — პროდუქციის ხარისხის ძირეულ ყურადღებაზე.

ხოლო იმაში, რომ გარდატეხა ჯერ კიდევ მისაღწევია, რომ ეს პრობლემა არ მოხსნილა დღის წესრიგიდან, გვარწმუნებს ასეთი ფაქტი: საანგარიშო პერიოდის მორაცემებით მეორე წარდგენებით ხდება პროდუქციის 83 პროცენტი. მაშასადამე, სახმიღება რომ არ ყოფილიყო, „მომხმარებელი არაკონდიციურ ნაწარმს მიიღებდა. და იგი რეკლამაციების ნაკადს გამოიწვევდა. ამასთან მოყვანილი ციფრი მოწმობს არასაუწყები კონტროლის სიმკაცრესაც, იმას, რომ მის მუშაკებს არ სურთ კომპრომისები.

სახმიღების შედეგი დამოკიდებულია თვით საწარმოზე, თითოეული მუშის, სპეციალისტის, ხელმძღვანელის მუშაობის ხარისხზე. თუ ყოველი ნაკეთობა, ყოველი ოპერაცია, ყოველი ტექნოლოგიური პროცესი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, სახლოო პროდუქციას არაფერი გადაეღობება წინ, შრომითი კოლექტივი შეასრულებს თავის ამოცანებსა და ვალდებულებებს საზოგადოების წინაშე, და მთლიანად მიიღებს მისგან იმას, რაც კარგი მუშაობისათვის ერგება. ხოლო წუნისათვის, არაკონდიციურობისთვის მას უმცირესად მოეკითხება, როგორც პარტიის უმნიშვნელოვანესი დავალების ჩაფუშვისათვის.

პროდუქციის სახელმწიფო მიღება, აღნიშნეს სხდომის მონაწილეებმა, ეს, უწინარეს ყოვლისა, დიდი სახელმწიფო დისციპლინა, ნაშვებულობის, ელეგანტურობის, ეუაირათობის დაძლევაა, რომლებიც საგრძნობ და ხშირად აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს ეკონომიკას. გარდა ამისა, ეს არის გამაწყლებელი მექანიზმის შემდგომი სრულყოფის უტყუარი გზა, როცა ყველას შეეძლება მოითხოვოს საზოგადოებრივი სიკეთის მხოლოდ ის წილი, რომელიც ნამდვილად დაიმსახურა თავისი შრომითი უკუგებისა და პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად.

და ამ საქმეში სახმიღება მარტო დამსჯელი ორგანო კი არ უნდა იყოს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მოწოდებულია

იყოს კონტროლიორიც

და თანაშემწეც

წლის პირველ ორ თვეში არაასაუწყებო კონტროლმა 15 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ნედლეულიანი ნაწარმი არ მიიღო. წუნისმკეთებლები მკაცრად ფასავნენ ანაზღაურების მხრივ. ბევრმა მათთან ერთად ჯერ-ჯერობით ისინიც იჩაგრებიან, ვინც ეთანამშრომლებიან. ბევრ ადგილებზე ეს ფაქტორი ნამდვილ ბოროტებად ქცეულა. ეს ბოროტება ბევრ ადგილებზე ფესვებგადგმულ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲗᲐᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 14 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ. ᲙᲝᲠᲠ. Თ. ᲒᲝᲜᲯᲘᲩᲐᲕᲘᲫᲔ). მოსკოველებისაო ბოლო ზეწეული ქართველი მეგობრებისათვის ჩურჩხელის, ნუგის, ჩირის, სანელებლებისა და სხვა პროდუქტების გამოგზავნის თხოვნა. ყოველივე ამის შეძენა შეიძლება დეკემბერამის პროლეტარულ რაიონში გახსნილ რესპუბლიკური სამომხმარებლო კავშირის საფირმო მაღაზია „საქართველოში“.

სავაჭრო დარბაზში მუდამ ხალხმრავლობაა. სამხრეთის მიწის ნობათები, რესპუბლიკის სამომხმარებლო კავშირის საწარმოთა მიერ დამზადებული პროდუქტებთან სავსე დახლებთან ჩამწყრივებული რიგები აქ ჩვეულებრივი სურათია. ზოგს საკონდიტრო ნაწარმი მოსწონს, სხვას — მწვანილი და სანელებლები. დიდ გასავალშია წვენები და სასმელები, რომელთა გემოს გასინჯვა შეიძლება აქვე, მაღაზიაში გახსნილ ბარში. ფართო ასორტიმენტით არის წარმოდგენილი კერამიკა, ოქრომჭედლობა, დიდია ყვავილების არჩევანი.

იმას, თუ რა არის ჩურჩხელა, ახსნა არ უნდა, ამ ნუგბარს ყველა იცნობს.

— ჩვენს ოჯახში ყველას გვიყვარს ჩურჩხელა, — ამბობს ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ოლგა შეეჩენკო. — ძირითადად მის გამო ვარ ახლა „საქართველოს“ ხშირი სტუმარი, თუმცა კი შორს ვცხოვრობ.

„საქართველო“ სამომხმარებლო კოოპერაციის ერთ-ერთი დიდი სავაჭრო ობიექტია, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მაღაზიის დირექტორმა პეტრე ჩუბაკმა. — მას დაახლოებით 1000 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. ჯერჯერობით პირველი რიგი ამოქმედდა. შემდგომში ვაპირებთ აქვე გავხსნათ მწვნილის დარბაზი. გვერდით შენდება სახაბაბურე, სადაც თონის პურსაც გამოვაცხობთ. გავხსნით კაფეტერიასაც, რომელშიც გაზნახული გვაქვს სახელგანთქმული ლაღიძის წყლის გაყიდვა.

13 მარტს მაღაზია „საქართველოს“ ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი სობჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გილუმეანი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მაღაზიის საერთო ხედი; თვითმომსახურების განყოფილება; გამყიდველები ლ. ი. ჯოროპანი, მ. ვ. ოჯდეევა, ნ. უ. იაკუბოვა, კ. ხ. რუბცოვა და ს. ა. ოლიფერკო ცვლის დაწყების წინ.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲝᲢᲙᲘᲚᲐᲕᲐ 50 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ!

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲝᲘᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲠᲗᲝᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲘᲧᲕᲐᲜᲛᲐ ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲛᲐ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲝᲢᲙᲘᲚᲐᲕᲐᲛ. ᲛᲝᲛᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ 11 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲗᲘᲕᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲖᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲓᲐᲝᲤᲣᲚᲐ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲘᲧᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲢᲐᲜᲘ. ᲐᲮ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲢᲔᲜᲝᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲗ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲠᲔᲕᲝ ᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲘᲥᲕᲔᲗᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲛᲘᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐ ᲠᲝᲛᲔᲠᲘᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲐᲮ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲐ ᲢᲔᲜᲝᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲗ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲠᲔᲕᲝ ᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲘᲥᲕᲔᲗᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲐᲦᲠᲔ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ.

„ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘᲗ...“

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲡᲢᲐᲟᲘᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲝᲢᲙᲘᲚᲐᲕᲐ ᲓᲦᲔᲜᲘᲐᲓᲐᲒ ᲡᲬᲐᲚᲚᲝᲑᲡ, ᲓᲦᲔᲜᲘᲐᲓᲐᲒ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲬᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲫᲔᲚᲕᲐᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲬᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲐᲦᲠᲔ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲒ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲠᲘᲜᲓᲔᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔ